

1. რა არის TUE?

TUE უზრუნველყოფს მოთამაშეს აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების უფლებამოსილებით დასაბუთებული სამედიცინო მდგომარეობის/დაავადების სამკურნალოდ რაგბის თამაშის გაგრძელებისას. მოთამაშეებმა, რომლებსაც აქვთ დოკუმენტურად დადასტურებული სამედიცინო მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენებას, უნდა მიიღონ თერაპიული გამოყენების ნებართვა (TUE). TUE-ს გარეშე, მოთამაშეებს აქვთ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის რისკი, დანაშაული, რომელსაც შეიძლება შედეგად მოყვეს სანქცია, სამედიცინო გარემოებების მიუხედავად.



2. როდის უნდა მიმართოს მოთამაშემ TUE მისაღებად?

- როდესაც მოთამაშეს ურჩევს მისი მკურნალი ექიმი/სპეციალისტი, რომ სჭირდება აკრძალული ნივთიერება მისი სამედიცინო მდგომარეობის/ავადმყოფობის სამკურნალოდ და არსებობს ამის დამადასტურებელი სამედიცინო მტკიცებულება.
 - როდესაც მოთამაშეს დანიშნული აქვს აკრძალული ნივთიერება საგანგებო სამედიცინო მდგომარეობის დროს. ამ შემთხვევაში, მოთამაშემ რეტროაქტიულად უნდა მიმართოს TUE-ს მისაღებად. გაითვალისწინეთ, რომ რეტროაქტიული TUE მიენიჭება მხოლოდ საგანგებო გადაუდებელ სიტუაციებში ან გამონაკლისი გარემოებებისას, როდესაც არაა საკმარისი დრო ან შესაძლებლობა მოთამაშისთვის განაცხადის წარსადგენად, ხოლო TUE კომიტეტისთვის განაცხადის განსახილველად დოპინგ-კონტროლამდე.
- c. (a) და (b) პუნქტებში მოცემული გარემოებების გარდა, მოთამაშემ TUE უნდა მოითხოვოს World Rugby-სგან ან თავისი ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციისგან (NADO) მხოლოდ როდესაც აკმაყოფილებს აუცილებელ კრიტერიუმებს.

3. TUE-ს მისანიჭებლად საჭირო კრიტერიუმები

TUE მიენიჭება მხოლოდ შემდეგ კრიტერიუმებთან მკაცრი შესაბამისობის შემთხვევაში:

- აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების გარეშე მოთამაშეს ექნება მნიშვნელოვანი პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით;

- b. ნივთიერების თერაპიული გამოყენება ნაკლებად შესაძლებელია, რომ გამოიწვიოს მოქმედების რაიმე დამატებით გაძლიერებას იმის გარდა, რაც მოსალოდნელია ჯანმრთელობის ნორმალურ მდგომარეობასთან დაბრუნებისგან, დადასტურებული სამედიცინო მდგომარეობის მკურნალობის შედეგად; და
- c. სხვა მხრივ აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოყენების გონივრული თერაპიული ალტერნატივა არაა.

4. რაც შეეხება ჩემი ასთმის მკურნალობას?

აკრძალულია ყველა ბეტა-2 აგონისტი, გარდა საინჰალაციო სალბუტამოლის (მაქსიმუმ 1600 მიკროგრამი 24 საათის განმავლობაში) საინჰალაციო ფორმოტეროლ (მაქსიმუმ დადგენილი დოზა 54 მიკროგრამი 24 საათის განმავლობაში) და საინჰალაციო სალმეტეროლის, მწარმოებლის მიერ რეკომენდებული თერაპიული რეჟიმით გამოყენების შემთხვევაში.

შენიშვნები:

- a. შარდში სალბუტამოლის არსებობა 1000 ng/mL-ზე მეტი რაოდენობით ან ფორმოტეროლი 40 ng/mL-ზე მეტი რაოდენობით, სავარაუდოდ, არ ნიშნავს თერაპიულ გამოყენებას და ჩაითვლება უარყოფით ანალიტიკურ ფაქტად.
- b. შესუნთქვით მიღებული ტერბუტალინის სტატუსი შეუცვლელი რჩება და საჭიროა TUE-ს წარდგენა გამოყენებამდე.
- c. პერორალურად, ინტრავენურად, კუნთში ან რექტალურად დანიშნული გლუკოკორტიკოსტეროიდებისთვის საჭიროა TUE.

5. ვინ უნდა შეიტანოს განაცხადი TUE-ს მისაღებად და სად შეაქვთ განაცხადი?

World Rugby-ს რეგისტრირებულ სატესტირებელ ჯგუფში ან სატესტირებელ ჯგუფში შეყვანილი მოთამაშეები, ან მოთამაშეები, რომლებიც მონაწილეობენ უშუალოდ World Rugby-ს მიერ ირგანიზებულ საერთაშორისო მატჩში ან ტურნირში (სექცია 9), წინასწარ უნდა მოიპოვონ TUE აკრძალული ნივთიერების ან მეთოდის გამოსაყენებლად World Rugby-ს TUEC-გან. მოთამაშემ შეიძლება აგრეთვე განსახილველად წარადგინოს არსებული და ძალაში მყოფი TUE ასლი World Rugby-ს რეგლამენტის 21.4.5 – ერთობლივი აღიარება, შესაბამისად. იხ. სექცია 6.

World Rugby-მ აგრეთვე შეათანხმა რამდენიმე NADO-თან, რომ პასუხისმგებლობა ექნებათ ყველა TUE-ზე რაგბის მოთამაშეებისგან თავის ქვეყანაში. მოთამაშეებმა უნდა შეამოწმონ თავის NADO-ში, აკმაყოფილებენ თუ არა ამ შეთანხმების პირობებს.



განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას, სულ მცირე, 30 დღით ადრე მოთამაშის მონაწილეობამდე World Rugby-ს მიერ ირგანიზებულ საერთაშორისო მატჩში ან ტურნირში, გარდა საგანგებო სამედიცინო სიტუაციებისა, რაზეც შესაძლებელია განაცხადის წარდგენა ამ პერიოდში ან რეტროაქტიულად.

World Rugby-ს TUE განაცხადის ფორმის გადმოტვირთვა შესაძლებელია World Rugby-ს ანტიდოპინგური ვებ-გვერდიდან worldrugby.org/keeprugbyclean და მისი წარდგენა შეიძლება ელ. ფოსტით მისამართზე tue@worldrugby.org ან ფაქსით **+353 1 240 9289**.

ყველა სხვა მოთამაშემ კონსულტაცია უნდა მიიღოს თავისი NADO-ს წესებზე მათ ქვეყანაში TUE წარდგენასთან დაკავშირებით.

6. რა არის TUE-ს ერთობლივი აღიარება?

World Rugby აღიარებს TUE, რომლებიც მინიჭებულია სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციების მიერ WADA კოდექსის ერთობლივი აღიარების დებულების თანახმად, TUE განაცხადის და დადასტურების სერტიფიკატის მიმდინარე და მოქმედი ასლის წარდგენის შემდეგ, რაც ექვემდებარება დადასტურებას World Rugby-ს TUEC მიერ. World Rugby-ს TUEC აქვს უფლება გადახედოს და გაასაჩივროს TUE ყველა დადასტურება, წარდგენილი საბჭოს მიმართ, როდესაც დადასტურება გაცემულ იქნა სხვა ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ.

7. როგორ გავიგებ, რომ ჩემი განაცხადი დამტკიცებულია?

World Rugby-ს TUEC ან სხვა TUEC გადასცემს მოთამაშეს დადასტურების სერტიფიკატს მათი წევრი კავშირის მეშვეობით, რომელიც იქნება გაცემული კონკრეტულ პრეპარატზე, მიღების კონკრეტულ გზაზე, დოზაზე და მითითებული იქნება მოქმედების ვადა. მოთამაშებმა უნდა შეასრულონ მათ TUE დადასტურების სერტიფიკატში მოცემული პირობები და საკმარისი დროით ადრე, წინასწარ უნდა მიმართონ TUE ვადის გასვლისას.

8. რა მოხდება, თუ ჩემს TUE-ს უარყოფენ?

მოთამაშის, რომელიც World Rugby-ს რეგისტრირებული სატესტირებელი ჯგუფის ან სატესტირებელი ჯგუფის წევრია, ან რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვემოთ მითითებულ მატჩებში ან ტურნირებში, TUE განაცხადი უარყოფილია, მან შეიძლება მიმართოს გადაწყვეტილების თაობაზე აპელაციით World Rugby-ს TUEC-ს WADA-ში.

WADA-ს ნებისმიერი გადაწყვეტილების თაობაზე, რომელიც ცვლის TUE მინიჭებას ან უარყოფას, World Rugby-ს მოთამაშის მიერ აპელაცია შესაძლებელია ექსკლუზიურად სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში (CAS).

World Rugby-ს TUEC გადაწყვეტილებები, რომლებიც არ შეცვლილა WADA მიერ, მოთამაშემ შეიძლება გაასაჩივროს CAS-ში.

9. World Rugby მიერ ორგანიზებული მატჩების და ტურნირების ჩამონათვალი, რომლებსთვისაც საჭიროა TUE განაცხადის ან TUE სერტიფიკატის ასლის World Rugby-თვის გაგზავნა.

- ყველა საკვალიფიკაციო მატჩი რაგბის მსოფლიო თასის გათამაშებისთვის და რაგბის მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური თამაშები
- World Rugby-ს მსოფლიო ჩემპიონატები
ოუნიაორთა შორის
- World Rugby-ს მსოფლიო ჯილდოს გათამაშება ოუნიაორთა შორის
- World Rugby Sevens სერიის მსოფლიო თამაშები (მამაკაცებში და ქალებში)
- World Rugby-ს ეროვნული თასი
- World Rugby-ს თბილისის თასი
- World Rugby-ს წყნარი ოკეანის თასი
- World Rugby-ს წყნარი ოკეანის ქვეყნების თასი
- World Rugby-ს ამერიკის თასი რაგბში



რაგბის სხვა მატჩებისა და ტურნირებისთვის მოთამაშებმა TUE განაცხადი უნდა წარუდგინონ თავის NADO-ს. თუ წევრ კავშირს არ ყავს თავისი NADO, TUE განაცხადი შეიძლება წარუდგინონ World Rugby-ს TUEC-ს.

10. სად შემიძლია მეტი ინფორმაციის მიღება?

World Rugby-ს რეგლამენტის 21 სრული ასლი შეიძლება ნახოთ რეგლამენტების სექციაში World Rugby-ს ანტი-დოპინგურ ვებ-გვერდზე www.keeprugbyclean.com. კონკრეტული დებულებები, რომლებიც ეხება TUE-ს, მოთავსებულია 21.4 სექციაში 3ა და 3ბ ჩამონათვალთან ერთად.

ეს საცნობარო მითითებაა. რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება World Rugby-ს 21 რეგლამენტს.

მედიკამენტების შემოწმება



მოთამაშეები, რომლებიც იღებენ რაიმე მედიკამენტებს, უქიმის გამოწერის ან სხვაგვარად ან საკვებ დანამატებს უნდა იყვნენ დარწმუნებული, რომ ისინი არ შეიცავენ აკრძალულ სუბსტანციებს. იმისათვის რომ შეამოწმოთ კონკრეტული სუბსტანციების ინგრედიენტები, თქვენ შეიძლება დაგეხმაროთ, ონლაინ რეჟიმში, მედიკამენტების გლობალური ცნობარი www.globaldro.com, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი შექმნილია კანადაში, დიდ ბრიტანეთში ან აშშ-ში. თუ

გეეჭვებით პროდუქტის შემადგენლობა ან ის წარმოებულია ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, მიმართეთ თქვენს ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას.

ყოველთვის აცნობეთ თქვენს უქიმს ან ფარმაცევტს, სანამ დაგინიშნავენ წამალს, რომ თქვენ შეიძლება იყოთ ტესტირების სუბიექტი.